ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ აბაშიძის

2021-2022 წლის ანგარიში

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია**

  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2021 წლის 3 დეკემბერი), ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" წევრი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი. ვასრულებ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლება-მოვალეობებს, აქტიურად ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა:

- ✓ საკრებულოს 15 სხდომა- დავესწარი 14 სხდომას;
- ✓ მიღებული იქნა 113 დადგებილება და 649 განკარგულება;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში, 2021 წლის დეკემბრიდან იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ჩატარებული 15 სხდომიდან დავესწარი 13 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 424 საკითხის განხილვაში.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 17 სხდომა. დავესწარი 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 300 საკითხის განხილვაში.

ჩატარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 23 სხდომა. დავესწარი 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 37 საკითხის განხილვაში.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია**

მე, როგორც მთაწმინდის მაჟორიტარი წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი პირობების, საჭიროებების, ინიციატივების, გაცნობის და დედაქალაქისთვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევხვდი და მოვუსმინე 455 მოქალაქეს. რომელთაც, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის: სოციალური, საბინაო, ყოფითი პირობების გაუმჯობესების, ჯანდაცვის, დასაქმების, ინფრასტრუქტურული და სხვა. საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე, სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებზე და მოქალაქეთა განცხადებებზე. კანონით განსაზღვრულ ვადებში, აღნიშნულ განცხადებებზე, შემდგომი რეაგირებისთვის მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები და რეკომენდაციები. სოციალურ საკითხებზე დახმარება გაეწია 77 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 37 მოქალაქემ. 63 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი.

- **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია**

კოორდინაცია მაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, გამგეობებთან, სამინისტროებთან. მათი საქმიანობის სფეროს საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევის და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების მიზნით. აქტიურად ვთანამშრომლობ მთაწმინდის რაიონის გამგეობასთან, რაიონში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი: გამაგრდა ოთხი ავარიული სახლი, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საცხოვრებელი სახლის აივნებს, გამოიცვალა ეზოს შესასვლელი ჭიშკარი, კიბე, ოთხ საცხოვრებელ სახლში დამონტაჟდა ახალი ლიფტი, 27 სახლს შეეცვალა სახურავი, 23 მისამართზე მოხდა წყალკანალიზაციის შეცვლა, 9 მისამართზე განხორციელდა გზების რეაბლიტაცია, ქვაფენილი შეკეთდა 19 მისამართზე, მოეწყო 8 სკვერი, 5 სტადიონი, ხანძრისგან დაზიანებულ 3 სახლს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, საბაღე სკამების მონტაჟი განხორციელდა 32 მისამართზე, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერები დაიგო 12 მისამართზე. აღსანიშნავია დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, ნ. ჟვანიას ქ #28 1007კვ/მ ფართობზე სკვერის და ტაბახმელაში 5405კვ/მ სარეკრეაციო სივრცის მოწყობა.

ბოლო პერიოდში თბილისის მერიასთან ერთად, ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დავნერგეთ ურბანული პოლიტიკის და სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით. მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, ტაქსების რეფორმა, ამოქმედდა საათობრივი პარკირება. დედაქალაქში შეიქმნა ბევრი ახალი სარეკრეაციო სივრცე.

- **სხვა სახის ინფორმაცია**

2022 წლის მაისში, როგორც ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მივიღე ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციაში (CORLEAP). სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებთან ერთად ვეწვიე რეგიონთა კომიტეტის ოფისს და შევხვდი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული კონფერენციისა და ევროპული საგარეო საქმეთა სამსახურის (EEAS) წარმომადგენლებს. ამავე ვიზიტისას, მონაწილეობა მივიღე ევროპის რეგიონთა კომიტეტის (COR) სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, შევხვდი ჯგუფის ხელმძღვანელს ქალაქ გდანსკის მერს ალექსანდრა

დულკიევიჩსა და ევროკავშირის უკრაინის მისიის ხელმძღვანელს ვსევოლოდ ჩენცოვს. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე ვიმსჯელეთ და ამ მიმართულებით სამომავლო გეგმები განვიხილეთ.

აღსანიშნავია, რომ საქართვლო 2022 წლის ოქტომბრიდან ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის თანათავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

2022 წლის ივლისში, სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ბრიუსელში, (CORLEAP) დელეგაციის ხელმძღვანელის სტატუსით. ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენცია რამდენიმე პლენარულ სესიად დაიყო.

ძირითადი აქცენტები საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროპულ პერსპექტივებზე და ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე მსჯელობას დაეთმო.

ვისაუბრე რუსეთ-უკრაინის თემაზე, რომ რუსეთის მხრიდან, უკრაინაში გაუმართლებელი სამხედრო აგრესია საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის ტრაგიკული ახლო წარსულია, რამაც ქვეყანას ათასობით დაღუპული, დაშავებული და ასევე, ნახევარი მილიონი დევნილი შემატა.

ვიზიტის ფარგლებში მივიღე მონაწილეობა პანელურ დებატებში კიევისა და სელემეტის მერებთან ვიტალი კლიჩკოსთან და ტატიანა ბადანთან, ასევე ზალცბურგის სახელმწიფო პარლამენტის წარმომადგენელთან ფრანც შაუსბერგერთან და უკრაინის მხარდამჭერი ჯგუფის ხელმძღვანელთან გეორგ ზიგლერთან ერთად. აღნიშნულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გავუსვი ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს-ევროინტეგრაციას. ყურადღება გავამახვილე იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომელსაც საქართველო ყოველთვის იზიარებდა და რომლებიც ქმნიან თანამედროვე ევროკავშირის ქვაკუთხედს, რაც დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, თანასწორობასა და ადამიანის უფლებების დაცვას მოიცავს.

საკრებულოს წევრი

ზურაბ აბაშიძე